განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

სსიპ - კოლეჯი „მოდუსი“

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: **ნაზო წიბლიაშვილი**

წევრები:

ნინო ძაგანია

თამთა კვინიკაძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---------- ----------

(ქ.თბილისი, 2019 წელი)

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: **სსიპ - კოლეჯი „მოდუსი“**

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: **საჯარო სამართლის იურიდიული პირი**

საიდენტიფიკაციო კოდი: **216350829**

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

(ქ.თბილისი, 2019 წელი)

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2019 წლის 31 მაისის N446 ბრძანების საფუძველზე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა (ჯგუფის თავმჯდომარე ნაზო წიბლიაშვილი, ჯგუფის წევრები ნინო ძაგანია და თამთა კვინიკაძე) 2019 წლის 12, 13 და 14 ივნისს განახორციელა ვიზიტი სსიპ - კოლეჯ „მოდუსში“.

ვიზიტის საფუძველს წარმოადგენდა დაწესებულების პირობების „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-6, მე-7 და მე-8 მუხლებით გათვალისწინებულ ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება.

ვიზიტის დაწყებამდე, დღის წესრიგის შედგენის მიზნით, მოხდა ჯგუფის წევრებს შორის კომუნიკაცია და დღის წესრიგის შეჯერება;

ვიზიტი განხორციელდა წინასწარ შემუშავებული დღის წესრიგის შესაბამისად (დანართი 1).

ვიზიტის პერიოდში გადამოწმდა დაწესებულების საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დოკუმენტები, საგანმანათლებლო პროგრამები, პროგრამებთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებელი მექანიზმები, შეფასების სისტემა, პროფესიულ სტუდენტთა პირადი საქმეები, რეესტრი, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები, მათი შემუშავების პროცედურები, შესრულების ანგარიში და სხვა.

მატერიალურ რესურსთან დაკავშირებით გადამოწმდა A, B და C გარემო, დაწესებულების ვებ-გვერდი, ბიბლიოთეკა, საევაკუაციო გეგმა, ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი, ჯანმრთელობის დაცვის მექანიზმები და სხვა.

ადამიანურ რესურსთან მიმართებაში გადამოწმდა პერსონალის პირადი საქმეები, ხელშეკრულებები, დანიშვნის ბრძანებები, საკვალიფიკაციო მოთხოვნები და სხვა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

(ქ.თბილისი, 2019 წელი)

განხორციელდა საწარმოო პრაქტიკის ბაზაზე ვიზიტი. გასაუბრება მოხდა პრაქტიკის განხორციელებაზე პასუხისმგებელ პირებთან და ერთ-ერთ პრაქტიკის ობიექტზე დასაქმებულ კურსდამთავრებულებთან.

დღის ბოლოს ჯგუფის წევრებს შორის ხდებოდა გაწეული მუშაობის შედეგების შეჯერება.

ვიზიტის დასასრულს ექსპერტთა ჯგუფის წევრებმა დაწესებულების წარმომადგენლებს გააცნეს ვიზიტის პროცესში გამოკვეთილი მიგნებები.

ვიზიტმა ჩაიარა მშვიდ და საქმიან ატმოსფეროში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

(ქ.თბილისი, 2019 წელი)

მდგომარეობა (ახალი/ არსებული)	**სტუდენტების მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობა**	**საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობა**	**საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის რაოდენობა**	**შენობა-ნაგებობების ფართი**	**მისამართების რაოდენობა და მდებარეობა** (ერთ მისამართზე/სხვადასხვა მისამართზე ერთ მუნიციპალიტეტში/ სხვადასხვა მუნიციპალიტეტში)
არსებული	60	2	13	819.37	ერთ მისამართზე

შენიშვნა: სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში დაწესებულების მიერ მითითებულია, რომ საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის რაოდენობა შეადგენს 20-ს. გადამოწმების შედეგად პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის რაოდენობა ორივე პროგრამაზე შეადგენს 13-ს. ინტერვიურებისას დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა რომ შეყვანილი ყავდა მილევად რეჟიმში მყოფი საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პირებიც.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

(ქ.თბილისი, 2019 წელი)

III. ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი

	სტანდარტი	ავტორიზაციის დებულების შესაბამისი მუხლი / პუნქტი	სტანდარტი დაკმაყოფილებულია	სტანდარტი არაა დაკმაყოფილებული
1. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამები		**მუხლი 6**	■	☐
1.1	დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.	**მუხლი 6 / პუნქტი ა)**	■	☐
1.2	დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), რომელშიც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ.	**მუხლი 6 / პუნქტი ბ)**	■	☐
1.3	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს.	**მუხლი 6 / პუნქტი გ)**	■	☐
1.4	დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე, მიღებული განათლების აღიარების წესები.	**მუხლი 6 / პუნქტი დ)**	■	☐
1.5	დაწესებულებას შემუშავებული აქვს, საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში, შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები.	**მუხლი 6 / პუნქტი ე)**	■	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

(ქ.თბილისი, 2019 წელი)

1.6	დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად.	**მუხლი 6 / პუნქტი ვ)**	■	□
2. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური რესურსი		**მუხლი 7**	■	□
2.1	დაწესებულების საკუთრებასა ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის:	**მუხლი 7 / პუნქტი ა)**	■	□
2.1.1	ერთ მისამართზე 400 კვ.მ შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის შესაბამისი საბჭო გადაწყვეტილებას იღებს 100 პროფესიულ სტუდენტზე ნაკლებ კონტინგენტიანი დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ;	**მუხლი 7 / პუნქტი ა.ა)**	■	□
2.1.2	სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი;	**მუხლი 7 / პუნქტი ა.ბ)**	■	□
2.2	დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები;	**მუხლი 7 / პუნქტი ბ)**	■	□
2.3	დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას;	**მუხლი 7 / პუნქტი გ)**	■	□
2.4	საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე, დაწესებულების მართვაში;	**მუხლი 7 / პუნქტი დ)**	■	□
2.5	დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა;	**მუხლი 7 / პუნქტი ე)**	■	□
2.6	დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:	**მუხლი 7 / პუნქტი ვ)**	■	□
2.6.1	ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.ა)**	■	□
2.6.2	თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.ბ)**	■	□
2.6.3	სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.გ)**	■	□
2.6.4	წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.დ)**	■	□
2.7	დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის;	**მუხლი 7 / პუნქტი ზ)**	■	□
2.8	ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას; მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული	**მუხლი 7 / პუნქტი თ)**	■	□

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

(ქ.თბილისი, 2019 წელი)

	სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი;			
2.9	შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს.	**მუხლი 7 / პუნქტი ი)**	■	□
3. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ადამიანური რესურსი		**მუხლი 8**	■	□
3.1	დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს;	**მუხლი 8 / პუნქტი ა)**	■	□
3.2	საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი;	**მუხლი 8 / პუნქტი ბ)**	■	□
3.3	პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი შეირჩევა კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები/მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.	**მუხლი 8 / პუნქტი გ)**	■	□

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

კოლეჯის დირექტორის ინიციატივით, სამეთვალყურეო საბჭო შეიცვალა საკოორდინაციო საბჭოთი. არსებული სამეთვალყურეო საბჭოს ძირითადი ფუნქცია იყო ზედამხედველობა გაეწია კოლეჯის საქმიანობისთვის როგორც საფინანსო, ისე ადამიანური რესურსების მართვის მიმართულებით, ვინაიდან სტრუქტურა და ბიუჯეტი ისედაც თანმხდებოდა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან, ხდებოდა ზედამხედველობის ფუნქციის დუბლირება და სამეთვალყურეო საბჭოს გავლენა აღნიშნულ მიმართულებებზე იყო სამინისტროს გადაწვეტილებების გაზიარება და დათანხმება. ამის გათვალისწინებით ფუნქციურად საბჭოს წევრებს მათთვის განსაზღვრული უფლებამოსილება რჩებოდა ფურცელზე და იყო წმინდა ნომინალური. შესაბამისად, მათივე ჩართულობა აღნიშნულ პროცესებში ვერ იქნებოდა მოტივირებული. კოლეჯის დირექტორის განმარტებით, სწორედ ეს გარემოება იყო იმის საფუძველი, რომ ახალი წესდების დამტკიცების პროცესში გაეაზრებინათ, როგორი და რა ფუნქციებით დატვირთული კოლეგიალური ორგანო იქნებოდა გაცილებით მოტივირებული და მოიტანდა მეტ სარგებელს კოლეჯისთვის. საკოორდინაციო საბჭო რჩება სამეთვალყურეო ორგანოდ, თუმცა შეიცვალა სფეროები და წევრთა უფლებამოსილებები გადანაწილდა მათივე წარმომადგენლობითი კომპეტენციების ფარგლებში. ასევე მოხდა იმ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

(ქ.თბილისი, 2019 წელი)

მიმართულებების კონტროლის ნაწილის ამოღება, რაც ისედაც კონტროლდება განათლების სამინისტროს მიერ და ამით ამოიწურა დუბლირების ნაწილი. რაც შეეხება მათ წარმომადგენლობით კომპეტენციებს, მათთვის წესდებით განსაზღვრულ ვადებში წარდგენილ ანგარიშებში უკვე აისახება ის ინფორმაცია, რაც შეეხება ჩარიცხულ სტიუდენტებს, კურსდამთავრებულებს, გენდერულ და სოციალურ ჭრილში მონაცემებს და დასაქმებული სტუდენტების შესახებ მონაცემებს, ასევე საბჭო ითანხმებს ისეთ მნიშვნელოვან საკითხს, როგორიცაა ახალი საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საჭიროება, ვინაიდან წარმოდგენილ საბჭოს წევრებს გააჩნიათ საკმარისი კომპეტენცია და ცოდნა იმისა თუ რა შეიძლება იყოს საჭირო ქალაქის განვითარებისთვის და რა არის ქალაქში არსებული შრომის ბაზრის მოთხოვნა. ამგვარად, დღეს მოქმედი საბჭო საკუთარი კომპეტეციის და უფლებამოსილების ფარგლებში კოლეჯის მიერ წარდგენილი ანგარიშის ანალიზის საფუძველზე უფრო ეფექტურად ეხმარება კოლეჯს განვითარების პროცესში.

2. კოლეჯი „მოდუსის“ ბაზაზე ფუნქციონირებს სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორია „ფაბლაბ მოდუსი“, რომლის მიზანია უზრუნველყოს სტუდენტების ინოვაციური, კრეატიული იდეების განხორციელება თანამედროვე ტექნოლოგიების საშუალებით, რაც მეტად გაზრდის ინტერესს პროფესიული სასწავლებლის მიმართ. ლაბორატორიის ყოველდღიურ საქმიანობაში აქტიურად არიან ჩართული კოლეჯის სტუდენტები.
ლაბორატორიაში ხშირად ეწყობა ექსკურსიები, პრეზენტაციები და ვორქშოფები.
დაწესებულების „ფაბლაბს“ პროფესიულ განათლებაში ჰყავს პირველი, წარმატებული სტარტაპი, რომელმაც „ფაბლაბის“ დახმარებით შეძლო გრანტის მოპოვება და საკუთარი წარმატებული ბიზნესის წამოწყება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

(ქ.თბილისი, 2019 წელი)

V. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

<u>**არ გამოვლენილა**</u>

VI. რეკომენდაციების შეჯამება

ქვესტანდარტი 1.1. (ავტორიზაციის დებულების მუხლი 6/ პუნქტი ა))

- დაწესებულებამ პროგრამების დამტკიცების შემთხვევაში საფუძვლად გამოიყენოს საკუთარი რეგულაცია „სსიპ - პროფესიული კოლეჯი მოდუსის ჩარჩო დოკუმენტის მიხედვით შედგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/ მოდულის შემუშავების, კრედიტებით გაანგარიშების წესი, მოდულურ პროგრამაში ცვლილების შეტანის პროცედურა“, მუხლი 2, პ.2.20, დამტკიცებული დირექტორის 23.03.2018; ბრძ.N44;
- დაწესებულებამ საკუთარ რეგულაციაში გაწეროს პროფესიული სტუდენტის შეფასების აპელაციის პროცედურა;
- დაწესებულებამ ე.წ. ,,საკვალიფიკაციო კომისიას'' მისი ფუნქციებიდან გამომდინარე, საკუთარ რეგულაციაში მოუძებნოს შესაბამისი ფორმულირება.

ქვესტანდარტი 1.4 (ავტორიზაციის დებულების მუხლი 6/ პუნქტი დ))

- დაწესებულებამ საკუთარ რეგულაციაში გაწეროს პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების ვადა.
- სტუდენტებთან დადებულ ხელშეკრულებებში ჩაიწეროს იმ პირის გვარი და სახელი, ვისზეც გაცემულია ხელმოწერის დელეგირება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---------- ----------

(ქ.თბილისი, 2019 წელი)

VII. დაწესებულების მისია

რეგიონში არსებული საბაზრო მოთხოვნების შესაბამისი პროგრამების შემუშავება და დანერგვა სამუშაოს მაძიებლებისა და კარიერის განვითარებაზე ორიენტირებული ადამიანების პროფესიონალებად ჩამოაყალიბებისთვის, დამსაქმებლების ინტერესების გათვალისწინებით. დაწესებულება პროფესიონალების მომზადება-გადამზადებას ახორციელებს მოკლევადიანი და გრძელვადიანი პროგრამებით ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად.

სტანდარტების შეფასება

1. საგანმანათლებლო პროგრამები

1.1 დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

სსიპ - კოლეჯი „მოდუსი“ ახორციელებს საგანმანათლებლო სტანდარტის (ჩარჩო დოკუმენტის) საფუძველზე შექმნილ 6 პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, რომელთაგან ოთხი პროფესიული პროგრამა გადაყვანილია მილევად რეჟიმში, კერძოდ

1. ელექტროობა (საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ელექტროობაში);
2. კონსულტანტ-გამყიდველი (კონსულტანტ-გამყიდველის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია);

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

(ქ.თბილისი, 2019 წელი)

3. ზეინკალ-სანტექნიკოსი (ზეინკალ-სანტექნიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია);
4. თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მემონტაჟე (თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მემონტაჟის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია).

რეესტრის მონაცემებით ჯამში, მილევად რეჟიმში ოთხივე პროგრამაზე, სულ სწავლობს 58 პროფესიული სტუდენტი.

დაწესებულებას ავტორიზაციით გამოაქვს მესამე დონის ორი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა:

1. ინფორმაციის ტექნოლოგია (საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში) და
2. სამკერვალო წარმოება (საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია სამკერვალო წარმოებაში);

აღნიშნული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლება დაწესებულებას მინიჭებული აქვს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 11 სექტემბრის N157 გადაწყვეტილებით.

ვიზიტის მიზნებიდან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გადამოწმდა სწორედ ეს ორი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა.

დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების გადამოწმების შედეგად ექსპერტთა ჯგუფმა დააფიქსირა შემდეგი გარემოებები:

დირექტორის 23.03.2018; ბრძ.N44 დამტკიცებულია „სსიპ - პროფესიული კოლეჯი მოდუსის ჩარჩო დოკუმენტის მიხედვით შედგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/ მოდულის შემუშავების, კრედიტებით გაანგარიშების წესი, მოდულურ პროგრამაში ცვლილების შეტანის პროცედურა“, რომლის მუხლი 2, პ.2.20-ით განსაზღვრულია „სსიპ - კოლეჯში „მოდუსი“ საგანმანათლებლი სტანდარტის (ჩარჩო დუკუმენტის) საფუძველზე შექმნილ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს ამტკიცებს კოლეჯის დირექტორი“, აღნიშნული დოკუმენტი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---------- ----------

(ქ.თბილისი, 2019 წელი)

პროგრამის დამტკიცებისა და ცვლილებების ბრძანებაში არაა შეტანილი როგორც პროგრამების დამტკიცების საფუძველი.

პროგრამების დამტკიცების და პროგრამების ცვლილებების ბრძანებებში საფუძვლად მითითებული საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 6 მაისის N70/ნ ბრძანებით დამტკიცებული სსიპ - კოლეჯ „მოდუსის“ წესდების მე-5 მუხლის ე) პუნქტი და 2019 წლის 6 მარტის N44/ნ ბრძანებით დამტკიცებული სსიპ - კოლეჯ „მოდუსის“ წესდების მე-5 მუხლის თ) პუნქტი შემოიფარგლება ჩანაწერით - „საქართველოს კანონმდებლობითა და წესდებით გათვალისწინებული უფლებამოსილებების განხორციელების მიზნით გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს – ბრძანებას“;

<u>სასურველია დაწესებულებამ</u> პროგრამების დამტკიცების და ცვლილებების შეტანის მიზნით გამოცემულ ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტში - ბრძანებაში საფუძვლად მიუთითოს საკუთარი რეგულაცია - „სსიპ - პროფესიული კოლეჯი მოდუსის ჩარჩო დოკუმენტის მიხედვით შედგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/ მოდულის შემუშავების, კრედიტებით გაანგარიშების წესი, მოდულურ პროგრამაში ცვლილების შეტანის პროცედურა“, მუხლი 2, პ.2.20.

საგანმანათლებლო პროგრამა <u>„ინფორმაციის ტექნოლოგია“</u> დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის მიერ 11.07.2018წ. N128 ბრძანებით, ჩარჩო დოკუმენტში ცვლილებების შესაბამისად საგანმანათლებლო პროგრამაში შეტანილია ცვლილება 07.03.2019წ. N51 და 21.03.2019წ. N66 ბრძანებებით, ასევე საგანმანათლებლო პროგრამა <u>„სამკერვალო წარმოება“</u> დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის მიერ 11.07.2018წ. N129 ბრძანებით, ჩარჩო დოკუმენტში ცვლილებების შესაბამისად საგანმანათლებლო პროგრამაში შეტანილია ცვლილება 07.03.2019წ. N53 და 21.03.2019წ. N67 ბრძანებებით.

დაწესებულების მიერ პროფესიულ საგამნანათლებლო პროგრამებში ცვლილებები განხორციელებულია 2018 წლის 23 მარტის N44 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ პროფესიული კოლეჯი მოდუსის ჩარჩო დოკუმენტის მიხედვით შედგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოდულის შემუშავების, კრედიტებით გაანგარიშების წესი, მოდულურ პროგრამაში ცვლილების შეტანის პროცედურის“ მუხლი 5. შესაბამისად ხარისხის მართვის მენეჯერის სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე.

<u>დაწესებულებას დაცული აქვს საკუთარი რეგულაცია.</u>

პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის (ჩარჩო დოკუმენტის) საფუძველზე შექმნილ თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

(ქ.თბილისი, 2019 წელი)

განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია.

„ინფორმაციის ტექნოლოგიის“ მესამე დონის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

წარმოდგენილი პროგრამა შემუშავებულია „ინფორმაციის ტექნოლოგიის“ საგანმანათლებლო სტანდარტის (ჩარჩო დოკუმენტის) საფუძველზე (სარეგისტრაციო კოდი 0612). მისანიჭებელი კვალიფიკაცია: საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში / Basic Vocational Qualification in Information Technology Support; პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის შეადგენს 60 კრედიტს, არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის 75 კრედიტს, პროგრამას აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა. პროფესიული სტუდენტების შესაძლო კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს.

დაწესებულებას „ინფორმაციის ტექნოლოგიის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდულების „გაცნობითი პრაქტიკა“ და „პრაქტიკული პროექტი“ პრაქტიკული კომპონენტის განსახორციელებლად გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები დაწესებულებებთან:

1. შპს "ბ.მ სერვის ჯგუფი"
2. შპს “ატომ ელექტრონიქსი”
3. ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის მერია

„სამკერვალო წარმოება“ მესამე დონის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

წარმოდგენილი პროგრამა შემუშავებულია „სამკერვალო წარმოების“ საგანმანათლებლო სტანდარტის (ჩარჩო დოკუმენტის) საფუძველზე (სარეგისტრაციო კოდი 0723). მისანიჭებელი კვალიფიკაცია: საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია სამკერვალო წარმოებაში / Basic Vocational Qualification in Sewing Industry; პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის შეადგენს 99 კრედიტს, არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის 114 კრედიტს, პროგრამას აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, დაცულია პროგრამის კომპონენტების წინაპირობები და გათვალისწინებულია განმეორებითი შეფასებისათვის გონივრული ვადა. პროფესიული სტუდენტების შესაძლო კვირეული დატვირთვა არ აღემატება 38 საათს.

დაწესებულებას სამკერვალო წარმოების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდულების „გაცნობითი პრაქტიკა“, „პრაქტიკული პროექტი“, „საწარმოო პრაქტიკა“

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

(ქ.თბილისი, 2019 წელი)

პრაქტიკული კომპონენტის განსახორციელებლად გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები დაწესებულებებთან:

1. შპს იასამანი
2. შპს „ბაჩურა“
3. შპს „Rustavi Fashion Studio“

ექსპერტთა ჯგუფის მიერ გადამოწმდა პროფესიულ სტუდენტთა პრაქტიკის მიზნებისთვის გამოყენებული მიმოწერა პრაქტიკის ბაზებთან. პრაქტიკის დაწყებამდე პრაქტიკის ბაზასთან მემორანდუმის ფარგლებში ფორმდება ხელშეკრულება, მიმოწერაში ასახულია პრაქტიკის დაწყების და დასრულების თარიღები, პროფესიულ სტუდენტთა სახელები და გვარები, პირადი ნომრები და ტელეფონის ნომრები, პრაქტიკის ხელმძღვანელი, რომელიც ახორციელებს სტუდენტთა შეფასებას. წარმოდგენილი იქნა შეფასების უწყისები, რომლებიც ატვირთულია დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემაში-Eflow. წარმოდგენილი იქნა პრაქტიკის დღიურები და პრაქტიკის ხელმძღვანელის ანგარიში პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიმდინარეობის შესახებ.

შერჩევითად განხორციელდა ვიზიტი პრაქტიკის 3 ობიექტზე ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიაში, შპს „ბაჩურა“-ში და შპს „Rustavi Fashion Studio“-ში.
პრაქტიკის სამივე ობიექტი მზადაა პროფესიული სტუდენტების მისაღებად, პროფესიული სტუდენტებისათვის უზრუნველყოფილია სამუშაო პირობები, განხორციელდა ინტერვიურება პრაქტიკის განხორციელებაზე პასუხისმგებელ პირებთან, რომელთაც მზადყოფნა გამოთქვეს პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებაზე და შეფასების პროცესში მონაწილეობაზე, ასევე დაწესებულებიდან გამოყოფილია პირი-სასწავლო და საწარმოო პრაქტიკის მენეჯერი, რომელიც ამოწმებს საწარმოო პრაქტიკაზე დასწრებას.

ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიაში შესაძლებელია ერთდროულად 30 პროფესიული სტუდენტის მიღება;

შპს „ბაჩურა“-ში შესაძლებელია ერთდროულად 10 პროფესიული სტუდენტის მიღება-განთავსება. შპს „ბაჩურაში“ უკვე დასაქმებულია კოლეჯის ორი კურსდამთავრებული.

შპს „Rustavi Fashion Studio“-ში შესაძლებელია ერთდროულად 14 პროფესიული სტუდენტის მიღება-განთავსება;

ჩატარდა ინტერვიურება პროფესიულ სტუდენტებთან, მათ შორის სსსმ პროფესიულ სტუდენტთან და პრაქტიკის ობიექტზე დასაქმებულ კურსდამთავრებულებთან, გასაუბრებისას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---------- ----------

(ქ.თბილისი, 2019 წელი)

გამოკვეთა მათი კმაყოფილება და მადლიერება კოლეჯის ადმინისტრაციისა და პროფესიული მასწავლებლების მიმართ.

ინტერვიურება ჩატარდა პროგრამის განმახორციელებელ პირებთან, ინტერვიურების შედეგად გამოიკვეთა, რომ პროფესიული მასწავლებლები იცნობენ მოდულის განხორციელების და შეფასების სპეციფიკას, აქტიურ უკუკავშირში არიან შიდა მონიტორინგის ჯგუფთან, ეცნობიან ლექციებზე დაწრების შედეგად გაცემულ რეკომენდაციებს, საჭიროების შემთხვევაში ითვალისწინებენ ან/და იძლევიან ახსნა-განმარტებებს. მზად არიან მიიღონ პროფესიულ განათლების სფეროში დანერგილი სიახლეები.

სსიპ - კოლეჯ „მოდუსს“ შემუშავებული აქვს „სსიპ კოლეჯი „მოდუსის“ სასწავლო პროცესის რეგულირების წესი“ (დამტკ. დირექტორის ბრძ.N82 05.04. 2019 წ.); აღნიშნული წესის VIII თავში გაწერილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტთა შეფასება, თუმცა **<u>არ აქვს გაწერილი შეფასების აპელაციის პროცედურა.</u>**

დაწესებულებას შემუშავებული აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების პროცედურა, აღნიშნული გადამოწმდა სსსმ პირებთან მიმართებით, დაწესებულებამ წარმოადგინა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ექსპერტთა გუნდის შეფასების ფორმა, სსსმ პროფესიული სტუდენტის საგანმანათლებლო პროცესში მონაწილე სპეციალისტთა გუნდის შეხვედრის ოქმები, ინდივიდუალური სასწავლო გეგმები შედგენილი ინკლუზიური განათლების სპეციალისტის და პედაგოგის თანამშრომლობით, შეთანხმებული ხარისხის მართვის მენეჯერთან და დამტკიცებული მოდულები ადაპტირებული კრიტერიუმებით და მიდგომებით, ადაპტირებული შეფასების ინსტრუმენტები და კომპეტენციათა დადასტურების ფორმები.

<u>დაწესებულება იცავს საკუთარ რეგულაციებს.</u>

დაწესებულებას გააჩნია როგორც „ინფორმაციული ტექნოლოგიის“ ისე „სამკერვალო წარმოების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის სიმულაციური გარემო, რაც უზრუნველყოფს უნარების შეუფერხებელ ტრანსფერს რეალურ საწარმოო გარემოში.

სსიპ - კოლეჯ „მოდუსს“ შემუშავებული აქვს „სსიპ კოლეჯი „მოდუსის“ სასწავლო პროცესის რეგულირების წესი“ (დამტკ. დირექტორის ბრძ.N82 05.04. 2019 წ.) აღნიშნული წესის 36 მუხლში- „კვალიფიკაციის მინიჭება და პროფესიული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის გაცემა”, გვხვდება შემდეგი ჩანაწერი
„36.1. კვალიფიკაციის მინიჭება წარმოადგენს სსიპ კოლეჯი „მოდუსის“ დირექტორის პრეროგატივას საკვალიფიკაციო კომისიის რეკომენდაციის საფუძველზე;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

(ქ.თბილისი, 2019 წელი)

36.2. პროფესიული სტუდენტისათვის პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭების საფუძველს წარმოადგენს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ყველა მოდულის კრედიტების ათვისება და შედეგების დადასტურება“, ექსპერტებმა მივიჩნიეთ რომ ეს ორი პუნქტი იყო ერთმანეთის გამომრიცხავი, ვინაიდან თუ პროფესიულმა სტუდენტმა აითვისა და დაადასტურა ყველა შედეგი „საკვალიფიკაციო კომისიის“ ფუნქცია გაურკვეველია, დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებით გამოირკვა, რომ ,,საკვალიფიკაციო კომისიის'' ფუნქცია არა კვალიფიკაციების მინიჭების გადაწყვეტილებაა, არამედ შეფასების დოკუმენტების სრულყოფილების, სისწორის, აღიარების თავსებადობის შემოწმებაა, ასევე განიხილავენ სსსმ/შშმ პირების დოკუმენტაციას და მათ სწავლებასთან დაკავშირებულ საკითხებს.
აღნიშნულიდან დასაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია ე.წ. „საკვალიფიკაციო კომისიას“ მისი ფუნქციებიდან გამომდინარე მოუძებნოს შესაბამისი ფორმულირება.

რეკომენდაცია:

- დაწესებულებამ პროგრამების დამტკიცების შემთხვევაში საფუძვლად გამოიყენოს საკუთარი რეგულაცია „სსიპ პროფესიული კოლეჯი მოდუსის ჩარჩო დოკუმენტის მიხედვით შედგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/ მოდულის შემუშავების, კრედიტებით გაანგარიშების წესი, მოდულურ პროგრამაში ცვლილების შეტანის პროცედურა“, მუხლი 2, პ.2.20, დამტკიცებული დირექტორის 23.03.2018; ბრძ.N44;
- დაწესებულებამ საკუთარ რეგულაციაში გაწეროს პროფესიული სტუდენტის შეფასების აპელაციის პროცედურა;
- დაწესებულებამ ე.წ. ,,საკვალიფიკაციო კომისიას'' მისი ფუნქციებიდან გამომდინარე, საკუთარ რეგულაციაში მოუძებნოს შესაბამისი ფორმულირება.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- დაწესებულების წესდებით;
- საგანმანათლებლო პროგრამებით;
- საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცება/ცვლილებების აქტით;
- დირექტორის 23.03.2018; ბრძ.N44 დამტკიცებული „სსიპ პროფესიული კოლეჯი მოდუსის ჩარჩო დოკუმენტის მიხედვით შედგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/ მოდულის შემუშავების, კრედიტებით გაანგარიშების წესი, მოდულურ პროგრამაში ცვლილების შეტანის პროცედურით“ ;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---------- ----------

(ქ.თბილისი, 2019 წელი)

- დირექტორის 05.04. 2019 წ. ბრძ.N82 დამტკიცებული „სსიპ კოლეჯი „მოდუსის“ სასწავლო პროცესის რეგულირების წესით“
- მემორანდუმებით;
- სტუდენტთა შეფასების მტკიცებულებებით და უწყისებით;
- პრაქტიკის გატარების შესახებ მიმოწერით;
- ინტერვიურებით ;

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.2 დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), რომელშიც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
სსიპ - კოლეჯ „მოდუსის“ ვებ-გვედზე http://modusi.ge განთავსებულია და დაწესებულებაში მატერიალური სახით არსებობს 2019 წ. საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), რომელშიც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ. კატალოგი მოიცავს საკონტაქტო და პარტნიორი დაწესებულებების შესახებ ინფორმაციას, ასევე კოლეჯის გეოლოკაციას.

დაწესებულებას აქვს წინა წლების კატალოგების არქივი, როგორც მატერიალური სახით, ასევე ვებ-გვერდზე განთავსებული.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

(ქ.თბილისი, 2019 წელი)

- მატერიალურად არსებული კატალოგით;
- სსიპ - კოლეჯ „მოდუსის“ http://modusi.ge ვებ-გვერდით და მასზე განთავსებული კატალოგით და კატალოგების არქივით.

შეფასება:

- [x] ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
- [ ] ქვესტანდარტი დარღვეულია

1.3 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული პროგრამებით/სასწავლო გეგმები;
- ჩარჩო დოკუმენტებით.

შეფასება:

- [x] ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
- [ ] ქვესტანდარტი დარღვეულია

1.4 დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე, მიღებული განათლების აღიარების წესები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

(ქ.თბილისი, 2019 წელი)

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის №152/ნ ბრძანების - „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე“ და საქართველოს მთავრობის 2013 წლის 19 სექტემბრის №244 დადგენილების - „პროფესიული განათლების დაფინანსების წესისა და პირობების განსაზღვრისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ სახელმწიფოს მიერ დაფუძნებულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის საფასურის მაქსიმალური ოდენობის დამტკიცების თაობაზე“ აქტების მოთხოვნების შესაბამისად სსიპ - კოლეჯ „მოდუსის“ დირექტორის მიერ 2019 წლის 5 აპრილის ბრძ. N82 დამტკიცებულია „სსიპ კოლეჯი „მოდუსის“ სასწავლო პროცესის რეგულირების წესი“ რომლითაც განსაზღვრულია პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის, მობილობის, ფორმალური და არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების პროცედურა.

დოკუმენტით <u>არაა გაწერილი პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების ვადა,</u> სიტყვიერად დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ შეჩერების ვადა რეგულირდება „პროფესიული განათლების დაფინანსების წესისის და პირობების განსაზღვრისა და პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ სახელმწიფოს მიერ დაფუძნებულ საგანამანათლებლო დაწესებულებებში სწავლის საფასურის მაქსიმალური ოდენობის დამტკიცების თაობაზე“ სადაც პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების ვადად განსაზღვრულია 2 წელი;

<u>სასურველია, დაწესებულებას საკუთარ რეგულაციაში ჰქონდეს მითითებული სტატუსის შეჩერების ვადა, ვინაიდან პროფესიული სტუდენტი ეცნობა „სასწავლო პროცესის რეგულირების წესს“</u> .

„სსიპ კოლეჯი „მოდუსის“ სასწავლო პროცესის რეგულირების წესით“ გაწერილია ასევე არასრულწლოვანი და უცხოეთში ან/და ოკუპირებულ ტერიტორიებზე მიღებული განათლების მქონე პირთა ჩარიცხვის, ასევე შშმ/სსსმ პირთა ჩარიცხვის რეგულაციები.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ გადამოწმდა პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის პროცედურა, ასევე გადამოწმდა განათლების აღიარების პროცედურა შიდა მობილობის და პროგრამების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---------- (ქ.თბილისი, 2019 წელი)

ოპტიმიზირებისას განხორციელებული პროცედურით, დაწესებულებამ წარმოადგინა ოქმები, თავსებადობის დოკუმენტები და ინდივიდუალური სასწავლო გეგმები დამტკიცებული დირექტორის მიერ.

დაწესებულებას ჰყავს სსსმ პირები, რომელთათვისაც დაწესებულებას ასევე შემუშავებული ჰქონდა ინდივიდუალური გეგმები (იხ. ქვესტანდარტი 1.1.) .

დაწესებულება აწარმოებს საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრს ვადების დაცვით.

გადამოწმდა არასრულწლოვან, სრულწლოვან და სსსმ პროფესიულ სტუდენტთა პორტფოლიოები, რეგულაციის დაცვით პორტფოლიოებში განთავსებული იყო ყველა დოკუმენტი, სწავლის დაწყებიდან კვალიფიკაციის მინიჭებამდე, თუმცა <u>პროფესიულ სტუდენტებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებზე, კოლეჯის დირექტორის გვარის ქვეშ ხელს აწერს კოლეჯის იურისტი.</u> დაწესებულების მიერ წარმოადგენილი იქნა დირექტორის 2017 წლის 15.05 N1/კ-146 ბრძანება, რომლის საფუძველზეც ეს უფლება აქვს მინიჭებული კოლეჯის იურისტს. ასევე სასწავლო პროცესის რეგულირების წესის მე-13 მუხლის პ.3, გაწერილია: „პროფესიულ სტუდენტთან ხელშეკრულების გაფორმებაზე პასუხისმგებელი პირი არის კოლეჯის იურისტი.“ დაწესებულების წარმომადგენელს განემარტა, რომ ვინაიდან კოლეჯის იურისტია ხელშკრულების გაფორმებაზე პასუხისმგებელი პირი, ამიტომ სასურველია სტუდენტებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებზე დატანილი იყოს იურისტის გვარი და სახელი და არა კოლეჯის დირექტორის (დანართი 2; დანართი 3; დანართი 4).

<u>**დაწესებულებას დაცული აქვს საკუთარი რეგულაციები.**</u>

<u>**რეკომენდაცია**</u>

- დაწესებულებამ საკუთარ რეგულაციაში გაწეროს პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების ვადა.
- სტუდენტებთან დადებულ ხელშეკრულებებში ჩაიწეროს იმ პირის გვარი და სახელი ვისზეც გაცემულია ხელმოწერის დელეგირება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(ვიზიტის დასრულებამდე იურისტის მიერ წარმოდგენილი იყო ხელშეკრულების ახალი ვარიანტი, სადაც უკვე იყო გათვალისწინებული რეკომენდაცია. თუმცა ავტორიზაციის პირობებიდან გამომდინარე ექსპერტების მიერ ვერ იქნებოდა გათვალისწინებული).

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- დირექტორის 05.04. 2019 წ. ბრძ.N82 დამტკიცებული „სსიპ კოლეჯი „მოდუსის“ სასწავლო პროცესის რეგულირების წესით“
- პროფესიულ სტუდენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებებით;
- ინტერვიურებით.

შეფასება:

- [x] ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
- [ ] ქვესტანდარტი დარღვეულია

1.5 დაწესებულებას შემუშავებული აქვს, საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში, შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში, კოლეჯი სტუდენტთან შეთანხმების გზით, უზრუნველყოფს მის გადაყვანას ამავე კოლეჯის სხვა პროგრამაზე, ხოლო თუკი ეს ვერ ხერხდება მობილობისათვის დადგენილ წესებთან შეუსაბამობის გამო, კოლეჯი სტუდენტს შესთავაზებს გარე მობილობას და თანხმობის შემთხვევაში უზრუნველყოფს მის გადაყვანას იმ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში, რომელთანაც გაფორმებული აქვს მემორანდუმი ურთიერთთანამშრომლობის შესახებ;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

(ქ.თბილისი, 2019 წელი)

პროფესიულ სტუდენტთა გარე მობილობის უზრუნველყოფის მიზნით, გაფორმებულია მემორანდუმები კოლეჯებთან:

- სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯი ,,მერმისი“
- სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯი „გლდანის პროფესიული გადამზადების ცენტრი“;
- სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯი „ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემია“;
- სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯი „სპექტრი“.

დაწესებულებას განხორციელებული აქვს ცვლილებები საგანმანათლებლო პროგრამაში საკუთარი რეგულაციების დაცვით, ასევე გამოცემულ სამართლებრივ აქტებში გაწერილია როგორც ცვლილებების ძალაში შესვლის, ასევე ჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტებზე გავრცელების პირობები.

დაწესებულებაში არ განხორციელებულა გარე მობილობა, შესაბამისად პროცესის გადამოწმება ვერ მოხერხდა.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- დირექტორის 05.04. 2019 წ. ბრძ.N82 დამტკიცებული „სსიპ კოლეჯი ,,მოდუსის“ სასწავლო პროცესის რეგულირების წესით“
- კოლეჯებთან გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმებით;
- დირექტორის 21.03.2019წ. N66 და N67 ბრძანებებით საგანმანათლებლო პროგრამებში ცვლილებების შეტანის შესახებ.

შეფასება:

- ■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
- ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.6 დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

(ქ.თბილისი, 2019 წელი)

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა და მის შედეგებს იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

დაწესებულებას ბრძანებით დანიშნული ჰყავს ხარისხის მართვის მენეჯერი და სასწავლო პროცესის ხარისხის მონიტორინგის სპეციალისტი.

დაწესებულებაში დირექტორის 2018 წლის 24 მაისის N88 ბრძანებით დამტკიცებულია „სსიპ პროფესიული კოლეჯის ,,მოდუსის“ ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები“, რომელიც ეფუძნება „დაგეგმე-განახორციელე-შეაფასე-გადახედე/გააუმჯობესე“ ციკლს, რომლის თანახმად ხორციელდება მუდმივი მონიტორინგი შიდა მონიტორინგის ჯგუფის მიერ (დამტკიცებულია 07.10.2016წ. ბრძ.N299), კოლეჯში შიდა მონიტორინგის ყველა აქტივობა თითოეული პროგრამისათვის ხორციელდება დამტკიცებული მონიტორინგის გეგმის შესაბამისად.

გადამოწმდა ხარისხის მექანიზმების მუშაობის მტკიცებულებები, პროგრამის განხორციელების შეფასების ჩატარების და მათი ანალიზის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, ხარისხის გაუმჯობესების მიზნით შემუშავებული რეკომენდაციები და მათი შესრულების მტკიცებულებები, სასწავლო პროცესის გასაუმჯობესებლად დაგეგმილი აქტივობები.
დაწესებულებამ წარმოადგინა შიდა მონიტორინგის ჯგუფის საკონტაქტო საათზე დასწრების შევსებული კითხვარები, სხდომის ოქმები შიდა მონიტორინგის ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციებით, ასევე რეკომენდაციებზე პროფესიული მასწავლებლების უკუკავშირი და სასწავლო პროცესის გასაუმჯობესებლად ჩასატარებელი ღონისძიებები.

წარმოდგენილი იყო პროფესიული სტუდენტის და პროფესიული მასწავლებლების გამოკითხვის კითხვარები და ანგარიშები.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- დირექტორის 24.05.2018წ. N88 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ პროფესიული კოლეჯის ,,მოდუსის“ ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმებით“
- გამოკითხვის ფორმებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---------- (ქ.თბილისი, 2019 წელი)

- გამოკითხვის კითხვარებით და ანგარიშით;
- საკონტაქტო საათებზე დასწრების კითხვარებით;
- შიდა მონიტორინგის ჯგუფის სხდომის ოქმებით და გაწეული რეკომენდაციებით;

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2. მატერიალური რესურსი

2.1 დაწესებულების საკუთრებასა ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის:

ა) ერთ მისამართზე შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი;

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულების მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას, კერძოდ სსიპ - კოლეჯ მოდუსს სახელმწიფოსაგან უზუფრუქტით გადაცემული აქვს მიწის ნაკვეთი ფართით 25000 კვ.მ მასზე არსებული შენობა-ნაგებობებით.

მიმდინარე რემონტის გამო, სასწავლო მიზნებისთვის გამოიყენება მხოლოდ N1 კორპუსის გარემონტებული ნაწილი, ანუ სასარგებლო ფართი ამჟამად არის 819.37კვ.მ. (სულ N1 კორპუსის ფართი შეადგენს 1638.74 კვ.მ. დაწესებულებას სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმით წარმოდგენილი ქონდა ფართის ნახევარი, სადაც მიმდინარეობდა სასწავლო პროცესი და მოწყობილი იყო საჭირო ინვენტარით, ხოლო მეორე ნახევარში გრძელდებოდა სარემონტო სამუშაოები. ვიზიტის პერიოდისთვის რემონტი N1 კორპუსში უკვე დასრულებული იყო, მიმდინარეობდა გაწმენდითი სამუშაოები, ცარიელ ოთახებში შესატანი იყო სწავლებისათვის საჭირო ინვენტარი) ოთახების რაოდენობაა 21, აქედან მე-4 სართულის 9 ოთახი უკავია ადმინისტრაციას, სამ სართულზე განთავსებულია 3 სპეც. ტანსაცმლის გარდერობი, 9 ოთახი განკუთვნილია სასწავლო პროცესისათვის სულ 535.72 კვ.მ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

დაწესებულებას ფართისა და პროგრამების სპეციფიკის გათვალისწინებით, შემუშავებული აქვს „სსიპ პროფესიულ კოლეჯ მოდუსში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე მისაღები კონტიგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგია“.

დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით:

№	მისამართი	კვ.მ.
1	რუსთავი, შარტავას გამზ. 4	819,37 მ^2

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- შენობის ვიზუალური დათვალიერებით;
- საჯარო რეესტრიდან ამონაწერით;
- შენობის გეგმით.
- დირექტორის 23.03.2018. N 44 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ პროფესიულ კოლეჯ მოდუსში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე მისაღები კონტიგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგიით“.

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ბ) სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი;

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებას N1 კორპუსშში გააჩნია პროფესიული პროგრამების განსახორციელებლად ყველა საჭირო რესურსი, როგორც თეორიული ისე პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისთვის. დაწესებულების სასწავლო პროცესისათვის განკუთვნილი 9 ოთახიდან „ინფორმაციის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

ტექნოლოგიების“ საგანმანათლებლო პროგრამისთვის გამოყოფილია ერთი „B“ გარემო და „სამკერვალო წარმოების“ საგანმანათლებლო პროგრამისთვის 3 ოთახი - A, B და A-C გარემო, დანარჩენი 5 ოთახი განკუთვნილია მილევად რეჟიმში მყოფი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის. თითოეული გარემო აღჭურვილია მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული მატერიალური რესურსით, აგრეთვე პროგრამისთვის საჭირო სათანადო ინვენტარით - მაგიდებით, სკამებით, პროექტორებით, კომპიუტერებით, ეკრანებით და დაფებით.

კოლეჯის გარემონტებულ ფართში განთავსებულია:

- 3 თეორიული სასწავლო აუდიტორია, A გარემო, თითოეულის ფართობია 30.23 კვ.მ., განკუთვნილია ზოგადი მოდულების სწავლებისთვის, აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით - 15 მაგიდა, 15 სკამი, პროფესიული მასწავლებლის მაგიდა და სკამი, პროექტორი, კომპიუტერი, დაფა;
- ერთი სასწავლო აუდიტორია, B გარემო, ფართობით 30.23კვ.მ., განკუთვნილია „ინფორმაციული წიგნიერების“ მოდულის შესასწავლად ყველა პროგრამისთვის აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით - 15 მაგიდა, 15 სკამი, 15 კომპიუტერი, მასწავლებლის მაგიდა, სკამი, კომპიუტერი, პროექტორი, კომბაინი, დაფა.
- ინფორმაციული ტექნოლოგიის B გარემო - 81.93. კვ.მ ერთი ოთახი. ოთახში განთავსებულია - პროფესიული სტუდენტებისათვის: 15 მაგიდა, 15 სკამი, 15 კომპიუტერი, ერთი მაგიდა და კომპიუტერი დაშლა-აწყობისათვის, პროგრამისთვის განკუთვნილი ყველა ტექნიკური აღჭურვილობა, ასევე მასწავლებლის მაგიდა, სკამი, კომპიუტერი, კომბაინი, ინტერაქტიული პროექტორი და დაფა.
- სამკერვალო წარმოება - 81.93.კვ.მ. ერთი ოთახი, ინტეგრირებული A-C გარემო, ოთახში განთავსებულია პროგრამისთვის განკუთვნილი ტექნიკური აღჭურვილობა, დამატებით კოლეჯს გააჩნია საქარგი და ტყავის საკერავი მანქანები;
- სამკერვალო წარმოების ერთი A გარემო - სადაც განთავსებულია 15 მაგიდა, 15 სკამი, 15 სახატავი დაფა, 8 ნახევარმანეკენი, აქედან 2 კაცის ნახევარმანეკენი, მასწავლებლის მაგიდა, სკამი, პროექტორი, კომპიუტერი, დაფა.

ტექნიკური აღჭურვილობა დაწესებულებას გათვლილი აქვს 15-15 სტუდენტზე, სურვილი აქვთ „ინფორმაციის ტექნოლოგიის“ და „სამკერვალო წარმოების“ პროგრამაზე მიიღონ 30-30 პროფესიული სტუდენტი.

კოლეჯში ასევე დაფუძნდა CISCO-ს აკადემია, რის შედეგადაც პროფესიული კოლეჯი „მოდუსი“ ჩაერთო CISCO-ს აკადემიის ქსელში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

(ქ.თბილისი, 2019 წელი)

გადამოწმდა არსებულ რესურსებზე შესყიდვების დოკუმენტაცია.

აღსანიშნავია, რომ კოლეჯში პროფესიული სტუდენტებისთვის ინოვაციური იდეების განხორციელებისა და სტუდენტების მოტივაციის გაზრდის მიზნით მუშაობს „სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორია“ -„ფაბლაბ მოდუსი“, რომელიც აღჭურვილია უახლესი ტექნიკით და ეხმარება ყველა პროფესიის სტუდენტებს საკუთარი კრეატიული იდეების განხორციელებაში.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- 2018 წლის დეკემბრის ინვენტარიზაციის ოქმებით;
- მატერიალურ–ტექნიკური რესურსების არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტებით;
- ვიზუალური დათვალიერებით.

შეფასება:

- ■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
- ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.2 დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის შესაბამისი გარემო, არსებობს სათანადო ბუნებრივი განათება, ელ. ენერგიის მიწოდება ხდება უწყვეტად, დაწესებულებას სს „ენერგო პრო-ჯორჯიასთან“ გაფორმებული აქვს ხელშეკრულება, მინიჭებული აქვს აბონენტის ნომერი და ყოველთვიურად ხდება გახარჯული ელექტროენერგიის საფასურის გადახდა.

დაწესებულებას ოთხ სართულზე გააჩნია 8 (რვა) სველი წერტილი, რომელიც არის მოწესრიგებული, უზრუნველყოფილია წყალგაყვანილობით, დაცულია სანიტარული და ჰიგიენური ნორმები, რომელსაც სისტემატიურად აკონტროლებს კოლეჯის ექთანი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

(ქ.თბილისი, 2019 წელი)

დაწესებულებას შპს „რუსთავ წყალთან“ გაფორმებული აქვს ხელშეკრულება, მინიჭებული აქვს აბონენტის ნომერი და ყოველთვიურად იხდის გახარჯული წყლის გადასახადს;
კოლეჯი გაზიფიცირებულია, დამონტაჟებულია გათბობის ცენტრალური სისტემა, გაფორმებული აქვს ხელშეკრულება შპს სოკარ ჯორჯია გაზთან, მინიჭებული აქვს აბონენტის ნომერი და იხდის გახარჯული გაზის გადასახადს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ვიზუალური დათვალიერებით;
- შენობის გეგმით;
- გადახდის ქვითრებით და ხელშეკრულებებით.

შეფასება:

- ■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
- ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.3 დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

კოლეჯში მიმდინარე რემონტის გამო, ბიბლიოთეკა და სამკითხველო დარბაზი განთავსებულია დროებით ფართში, ბიბლიოთეკის მომსახურება გადასულია ელექტონული მატარებლებით მომსახურებაზე, დროებით ბიბლიოთეკაში განთავსებულია 5 კომპიუტერი, აქედან ერთი ბიბლიოთეკარისთვისაა განკუთვნილი, ერთი კომბაინი (პრინტერი, ქსეროქსი, სკანერი), დიდი სამკითხველო მაგიდა და სკამები, კოლეჯში შემუშავებულია და ფუნქციონირებს ბიბლიოთეკით სარგებლობის დროებითი წესი, რომლის თანახმადაც, პროგრამებით/მოდულებით გათვალისწინებული ლიტერატურა გადატანილია და ინახება ძირითადად ელ. დისკებზე. კოლეჯის ბიბლიოთეკას გააჩნია ელექტრონული კატალოგი, რომელშიც აღრიცხულია ყველა საბიბლიოთეკო რესურსი. სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა ისარგებლონ სახელმძღვანელოების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____

ელექტრონული ვერსიით, ამობეჭდონ მათთვის საჭირო ინფორმაცია ბიბლიოთეკაში არსებული კომპიუტერისა და პრინტერის საშუალებით, ასევე დაასკანერონ საჭირო მასალები.
ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში შერჩევითად იქნა გადამოწმებული ორივე პროგრამის მოდულებიდან სასწავლო რესურსი, დაწესებულებაში მოდულებში მითითებული ყველა რესურსი არსებობს ელექტრონული სახით. (კოლეჯში მიმდინარე სარემონტო სამუშაოების გამო მატერიალური სახით ლიტერატურა ვერ ინახა, დაწესებულების წამომადგენლების განმარტებით, ძირითადი ბიბლიოთეკის მოწყობამდე წიგნები ქონდათ დასაწყობებული).
ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური ისე ელექტრონულ მატარებელზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო კურსების მოდულებში მითითებულ ლიტერატურას. საინვენტარო წიგნის შესაბამისად ბიბლიოთეკაში არის 4755 ერთეული წიგნი, მათ შორის მხატვრული ლიტერატურა; დროებით ბიბლიოთეკაში მთელი სასწავლო ლიტერატურა წარმოდგენილი იყო როგორც CD-ზე ჩაწერილი, ისე დასკანერებული და კომპიუტერებში ატვირთული. დისკები დამუშავებული იყო საბიბლიოთეკო წესით, დროებით ბიბლიოთეკაში განთავსებული რამოდენიმე წიგნისა და დასკანერებული ლიტერატურის გადამოწმებით დადგინდა, რომ ბიბლიოთეკის რესურსები დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით და შეტანილია საინვენტარო წიგნში. ბიბლიოთეკას ემსახურება კოლეჯის ბიბლიოთეკარი, რომლის თანამდებობრივი უფლება-ვალდებულებები განსაზღვრულია სამუშაო აღწერილობით.
ბიბლიოთეკარის მოვალეობები და ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი დამტკიცებულია დირექტორის ბრძ. N 01/111; 16.11.2017წ.
ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი განთავსებულია თვალსაჩინო ადგილზე;

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ბიბლიოთეკის საინვენტარო წიგნით;
- ბიბლიოთეკით სარგებლობის დროებითი წესით;
- წიგნადი ფონდის ფლობის დოკუმენტაციით;
- ელ. დისკებზე ჩაწერილი სასწავლო სახელმძღვანელოებით.

შეფასება:

- [x] ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
- [ ] ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____

(ქ.თბილისი, 2019 წელი)

2.4 საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე, დაწესებულების მართვაში.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

სსიპ - კოლეჯ „მოდუსს“ მფლობელობაში აქვს 284 კომპიუტერი, 19 კომბაინი (პრინტერი, სკანერი, ქსეროქსი), 12 პროექტორი, ინტერაქტიული პროექტორი და დაფა 1 ცალი, აქედან სასწავლო პროცესის წარმართვისა და კოლეჯის მართვისათვის ადმინისტრაციას გამოყოფილი აქვს 19 კომპიუტერი და 11 კომბაინი (პრინტერი, სკანერი, ქსეროქსი). ადმინისტრაციული პერსონალი და პედაგოგები ერთმანეთთან საქმიან ურთიერთობებს ამყარებენ კომპიუტერული ქსელის და ინტერნეტის საშუალებით. კოლეჯში არის საინფორმაციო მართვის სისტემის მიერ მოწოდებული ინტერნეტი, სადაც ხდება დოკუმენტების გაზიარება და რომელიც გამოიყენება როგორც ადმინისტრაციის ასევე პროფესიული სტუდენტებისა და მასწავლებლებისთვის, 2014 წლის მარტის თვიდან სასწავლებელი ჩართულია ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემაში /eflow-ში/ დანერგილია ელექტრონული ჟურნალების წარმოება /journal.emis.ge -ს / საიტის საშუალებით.
სისტემატურად ახლდება სასწავლებლის ვებ გვერდი და სოციალური ქსელის Facebook გვერდი, სადაც იდება საჭირო ინფორმაცია და სასწავლებლის ამსახველი ფოტომასალა.
კურსდამთავრებულებისთვის სასარგებლო ინფორმაციის განყოფილებაში არის მუდმივად განახლებადი ინფორმაცია იმ კონკრეტული ვაკანსიების შესახებ, რომლებიც შესაბამისობაშია კოლეჯის კურსდამთავრებულების შესაძლებლობებთან.
დაწესებულებაში არსებობს ადმინისტრაციულ პერსონალზე გადაცემული მატერიალური ფასეულობების ჩამონათვალი (მიღება-ჩაბარების აქტი).

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- შესაბამისი შესყიდვის დოკუმენტებით, /ანგარიშ-ფაქტურები და სხვა საგადასახადო დოკუმენტაცია);
- ინტერნეტ-პროვაიდერთან გაფორმებული ხელშეკრულებით;
- კომპიუტერული ტექნიკის გადანაწილების დოკუმენტი;
- ვიზუალური დათვალიერებით.

შეფასება:

- [x] ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
- [ ] ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

(ქ.თბილისი, 2019 წელი)

2.5 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებაში გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა რეგულირდება დირექტორის 2019 წლის 5 აპრილის N88 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ კოლეჯი მოდუსის საქმისწარმოების ინსტრუქციით“. საქმისწარმოების ინსტრუქციით რეგულირდება შემოსული დოკუმენტების დამუშავების წესი, მიღება, რეგისტრაცია, განაწილება, დოკუმენტების მოძრაობა კოლეჯში, დოკუმენტის შედგენა და გაფორმება, გასაგზავნი დოკუმენტების დამუშავების წესი, შეთანხმება, დამტკიცება, ბეჭდის გამოყენება, მმართველობითი დოკუმენტების მომზადება დოკუმენტის შესრულებაზე კონტროლი, ვადები, ასლის გადაღება და დამოწმება, ხელშეკრულებების, შეთანხმებებისა და მემორანდუმების რეგისტრაცია და შენახვა, საქმეთა ნომენკლატურის შედგენა და საქმეების ფორმირება, საარქივო საქმისწარმოება.

სსიპ კოლეჯ მოდუსში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციების აღრიცხვა, როგორც სარეგისტრაციო ჟურნალში, ასევე მსვლელობა ეძლევა დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემაში (eflow).

კოლეჯში არის ბრძანებების აღრიცხვის ჟურნალი, ხელშეკრულებების რეგისტრაციის ჟურნალი, დანომრილი, ზონარგაყრილი და ბეჭედდასმული.

(მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემით /eflow/ ;
- ბრძანებების აღრიცხვის ჟურნალით;
- საქმისწარმოების ინსტრუქციით.

შეფასება:

- [x] ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
- [ ] ქვესტანდარტი დარღვეულია

2.6 დაწესებულებაში დაცულია პერსონალის, პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

(ქ.თბილისი, 2019 წელი)

ა) ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;
ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;
გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;
დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ა) დაწესებულებას დამტკიცებული აქვს 2019 წლის 5 აპრილის N 89 ბრძანებით „სსიპ კოლეჯი მოდუსის ტექნიკური უსაფრთხოების წესები, სადაც გაწერილი არის ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები“. მუხლი 3
დაწესებულებას N1 შენობის ყველა სართულზე საევაკუაციო გეგმის შესაბამისად განთავსებული აქვს ცეცხლმაქრები, ცეცხლმაქრები დალუქულია და გააჩნია 2 წლიანი ვადა, თუმცა არ იყო კედლებზე მიმაგრებული. დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით მიმდინარეობდა დამკვეთსა და შემსრულებლებს შორის სარემონტო სამუშაოების მიღება-ჩაბარების პროცესი, რის გამოც ეკრძალებოდათ კედელზე რამის მიმაგრება. დაწესებულება აღჭურვილია სახანძრო დაცვის სისტემით და ყველა სართულის გასასვლელში დამაგრებულია განგაშის სასიგნალო მოწყობილობა.
ბ) საევაკუაციო გეგმები განთავსებულია შენობის ოთხივე სართულზე თვალსაჩინო ადგილზე.
გ) დაწესებულებას დამტკიცებული აქვს 2019 წლის 5 აპრილის N 89 ბრძანებით „სსიპ კოლეჯი მოდუსის ტექნიკური უსაფრთხოების წესები“, სადაც გაწერილი არის პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის უზრუნველყოფის მექანიზმები-მუხლი 4. შენობაში არის მინიმალური მოთხოვნების შესაბამისი ექთნის კაბინეტი, რომელიც ამჟამად განთავსებულია N1 შენობის 2 სართულზე, დაწესებულებას ჰყავს კვალიფიციური მედდა. სამედიცინო ოთახში განთავსებულია სამედიცინო ტახტი, მაცივარი, სამედიცინო სასწორი, მაგიდა, სკამი, სამედიცინო კარადა მედიკამენტებით და წნევის აპარატი.
დ) დაწესებულებაში არსებობს ვიდეო–სათვალთვალო სისტემა სასწავლო კორპუსის სართულებზე, ბიბლიოთეკაში, სასწავლო სახელოსნოში და ეზოში. დაწესებულებას ჰყავს 10 თანამშრომელი უსაფრთხოების სამსახურში.
დაწესებულებას დამტკიცებული აქვს 2013 წლის 13 დეკემბრის N 146 ბრძანებით პროფესიულ სტუდენტთა ქცევის კოდექსი.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

(ქ.თბილისი, 2019 წელი)

- დირექტორის 5.04.2019წ ბრძ.N 89 დამტკიცებული ,,სსიპ კოლეჯი მოდუსის ტექნიკური უსაფრთხოების წესებით;
- ვიზუალური დათვალიერებით;
- პროფესიულ სტუდენტთა ქცევის კოდექსით;

შეფასება:

○

- ■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
- ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.7 დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის, დაწესებულებაში შესასვლელად მოწყობილია პანდუსი, კოლეჯში ფუნქციონირებს ლიფტი და ოთხივე სართულზე არის ორ-ორი ადაპტირებული სველი წერტილი, დაწესებულება ადაპტირებულია ასევე უსინათლოთათვის განკუთვნილი ბილიკებით, კოლეჯი 2013 წლიდან აქტიურად არის ჩართული შშმ/სსსმ პირთა განათლების პროცესში, ამჟამად სხვადასხვა სპეციალობაზე 8 სსსმ პროფესიული სტუდენტი იღებს განათლებას. კოლეჯში არსებობს ,,ინკლუზიური პროფესიული სწავლების სპეციალისტის" შტატი, ხელშეკრულების საფუძველზე დასაქმებული სპეციალისტი კონსულტირებას უწევს შეზღუდული შესაძლებლობის პირთა ოჯახებს და პროფესიულ მასწავლებლებთან ერთად ჩართულია სასწავლო მოდულების/ შედეგების ადაპტირების პროცესში;

დაწესებულებაში კონკურსის წესით ასევე შერჩეულია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტის 2 ასისტენტი, რომლებიც ეხმარებიან სსსმ პირებს პროფესიული განათლების სისტემაში ადაპტირების პროცესში, სსსმ პირებს ემსახურება კოლეჯის მიერ დაქირავებული ტრანსპორტი.

გადამოწმდა ინდივიდუალური გეგმები, ჩატარდა სსსმ პირებთან გასაუბრება, გასაუბრების შედეგად დადგინდა რომ ისინი სრულიად არიან ადაპტირებულები გარემოში, გამოთქვამენ სწავლების მიმართ კმაკოფილებას, ერთ-ერთი სსსმ პროფესიული სტუდენტი არის ასევე სტუდენტური თვითმმართველობის წევრიც.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

(ქ.თბილისი, 2019 წელი)

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ვიზუალური დათვალიერებით;
- ინკლუზიური პროფესიული სწავლების სპეციალისტის სამუშაო აღწერილობით;
- „სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტის ასისტენტის“ შრომითი ხელშეკრულებით;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმა;
- ტრანსპორტთან გაფორმებული ხელშეკრულებით;
- ინტერვიურება სსსმ პირებთან;

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.8. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას. მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულების ვებ-გვერდი - *www.modusi.ge* ასრულებს საკომუნიკაციო ფუნქციას, ვებ-გვერდზე განთავსებულია დაწესებულების მისამართი, ელ.ფოსტა, ტელეფონი, ვებ-გვერდს გააჩნია წერილის გასაგზავნი ველი;

ვებ-გვერდი ასრულებს საინფორმაციო ფუნქციას, ვებ-გვერდზე განთავსებულია დაწესებულების ისტორია, მისია, მარეგულირებელი აქტები, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები, სტრუქტურა (ორგანოგრამა), კატალოგი, განთავსებულია ინფორმაცია დაწესებულების საქმიანობისა და განხორციელებული აქტივობების, საგანმანათლებლო პროგრამების (პროფესიული და მოკლევადიანი), პერსონალის, პარტნიორი ორგანიზაციების შესახებ, ჩარიცხვის რეგულაცია და უნარების ტესტების ნიმუშები აპლიკანტებისათვის, ვებ-გვერდს გააჩნია ფაბლაბის ველი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

(ქ.თბილისი, 2019 წელი)

მიმდინარეობს ვებ გვერდის რეგულარული განახლება. ბოლო სიახლე განთავსებულია 2019 წლის 7 ივნისს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ვებ გვერდით - *www.modusi.ge*
- დომენისა და ჰოსტინგის ფლობის დოკუმენტით

შეფასება:

- ■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
- ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.9. შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებას შემუშავებული აქვს მისია, ასევე 2019-2024 წ.წ სტრატეგიული და 2019 წ. სამოქმედო გეგმები, რომლებიც თავსებადია მისიასთან და ეფუძნება SWOT ანალიზს, გეგმები დამტკიცებულია დაწესებულების დირექტორის 2019 წლის 12 აპრილის N97 ბრძანებით; სამოქმედო გეგმა გამომდინარეობს სტრატეგიული გეგმიდან და ემსახურება მისი მიზნების მიღწევას, გათვალისწინებულია მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმების დანერგვა/ხელშეწყობა.

სტრატეგიული გეგმა მოიცავს ექვს სტრატეგიულ მიზანს, რომელიც ჩაშლილია ამოცანებად, განსახორციელებელ აქტივობად, რომლებიც გაწერილია წლების მიხედვით, გაწერილია შესრულების ინდიკატორი და განსაზღვრულია აქტივობის განმახორციელებელი პასუხისმგებელი პირი.

სამოქმედო გეგმა ასევე მოიცავს ექვს სტრატეგიულ მიზანს, რომელიც ჩაშლილია ამოცანებად, განსახორციელებელ აქტივობად, რომლებიც გაწერილია თვეების მიხედვით, გაწერილია შესრულების ინდიკატორი და განსაზღვრულია აქტივობის განმახორციელებელი პასუხისმგებელი პირი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

(ქ.თბილისი, 2019 წელი)

დაწესებულებამ წარმოადგინა სამოქმედო გეგმების ყოველწლიური ანგარიშები.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- მისიით;
- სტრატეგიული გეგმით;
- სამოქმედო გეგმით;
- დირექტორის 2019 წლის 12 აპრილის N97 ბრძანებით;
- სამოქმედო გეგმების შესრულების ანგარიშები.

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3. ადამიანური რესურსი

3.1 დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს დირექტორის 2019 წლის 25 მარტის N71 ბრძანებით „სსიპ კოლეჯი მოდუსის თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობები“, რომელშიც გაწერილია ადმინისტრაციული და სასწავლო პერსონალის სამუშაო აღწერილობა და საკვალიფიკაციო მოთხოვნები, ასევე დირექტორის 2019 წლის 5 აპრილის N85 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ - კოლეჯი მოდუსის ადამიანური რესურსების მართვის პროცედურები“ დანართებით.

გადამოწმდა ადმინისტრაციული პერსონალის პირადი საქმეები, თითოეული პირადი საქმე მოიცავს CV, პირადობის და განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლს, შრომით ხელშეკრულებას ან/და დანიშვნის აქტს, საკონკურსო კომისიის შეფასების ფორმას თანდართული საკვალიფიკაციო მოთხოვნით.

დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

(ქ.თბილისი, 2019 წელი)

- დირექტორის 25. 03. 2019 წ. N71 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ - კოლეჯი მოდუსის თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობებით“.
- დირექტორის 2019 წლის 5 აპრილის N85 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ - კოლეჯი მოდუსის ადამიანური რესურსების მართვის პროცედურებით“
- პერსონალის პირადი საქმეებით;
- შრომითი ხელშეკრულებებით ;
- დანიშვნის აქტებით;
- საკონკურსო განცხადებებით;
- საკვალიფიკაციო მოთხოვნებით.

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.2 საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებაში პროფესიული მასწავლებლების შერჩევა ხორციელდება კონკურსის წესით. დაწესებულებას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს დირექტორის 2019 წლის 25 მარტის N71 ბრძანებით „სსიპ - კოლეჯი მოდუსის თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობები“ და დირექტორის 2019 წლის 5 აპრილის N85 ბრძანებით „სსიპ - კოლეჯი მოდუსის ადამიანური რესურსების მართვის პროცედურები“ დანართებით.
გადამოწმდა პროფესიული მასწავლებლების პირადი საქმეები, თითოეული პირადი საქმე მოიცავს პროფესიული მასწავლებლის CV, პირადობის და განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლს, შრომით ხელშეკრულებას, საკონკურსო კომისიის შეფასების ფორმას თანდართული საკვალიფიკაციო მოთხოვნით. დაწესებულებაში საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პროფესიული მასწავლებლების მიერ.
საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში რეესტრის მონაცემებით დაწესებულებას ჰყავს 98 აქტიური პროფესიული სტუდენტი და 20 პროფესიული მასწავლებელი, თანაფარდობა 98/20=4.9.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

(ქ.თბილისი, 2019 წელი)

დაწესებულებას ჰყავს ერთ პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ 4 (ოთხი) პირი.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- დირექტორის 25. 03. 2019 წ. N71 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ - კოლეჯი მოდუსის თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობებით“.
- დირექტორის 2019 წლის 5 აპრილის N85 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ - კოლეჯი მოდუსის ადამიანური რესურსების მართვის პროცედურებით“
- პროფესიული მასწავლებლების პირადი საქმეებით;
- საკონკურსო კომისიის შეფასების ფორმებით და თანდართული პროფესიული მასწავლებლის საკვალიფიკაციო მოთხოვნით;

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.3 პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები/მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ვიზიტის პერიოდში შესწავლილი იქნა სხვადასხვა პოზიციაზე კანდიდატების შერჩევისა და სამუშაოზე მიღების პროცედურები. დაწესებულებამ წარმოადგინა ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების მენეჯერის სამსახურებრივი ბარათი ვაკანტურ პოზიციაზე კონკურსის გამოცხადების შესახებ (13.12.2018წ.); საკონკურისო კომისიის დამტკიცების ბრძანება (2018წ. 25.12 N286); კანდიდატების შერჩევის მიზნით შექმნილი კომისიის სხდომის ოქმი (2018წ. 28.12 N6); დანიშვნის ბრძანებები და სხვა. რაც სრულად შეესაბამება კოლეჯის რეგულაციებს. ვიზიტის პერიოდში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილი იქნა დაწესებულების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

(ქ.თბილისი, 2019 წელი)

პერსონალის პირადი საქმეები. პერსონალი შერჩეულია ადამიანური რესურსების მართვის პროცედურების შესაბამისად.

ადმინისტრაციის თანამშრომლებთან და პროფესიულ მასწავლებლებთან დადებული შრომითი ხელშეკრულებები სრულყოფილად არ მოიცავს შრომის კოდექსით გათვალისწინებულ არსებით პირობებს, კერძოდ ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების წესს და ანაზღაურებადი და ანაზღაურების გარეშე შვებულების ხანგრძლივობას. თუმცა დირექტორის 2019 წლის 5 აპრილის N87 ბრძანებით დამტკიცებულია „სსიპ - კოლეჯი მოდუსის შრომის შინაგანაწესი“ , რომელშიც გაწერილია „მუხლი 5. ზეგანაკვეთური სამუშაო და მისი ანაზღაურების წესი“ და „მუხლი 6. შვებულების ხანგრძლივობა და მიცემის წესი“. შრომითი ხელშეკრულებები მოიცავს ჩანაწერს რომ, შინაგანაწესი ხელშკრულების განუყოფელი ნაწილია (პ.2.1) და გაეცნო შინაგანაწესს (პ.2.9), გარდა ამისა დაწესებულებას შემუშავებული აქვს „სსიპ - კოლეჯი მოდუსის შრომის შინაგანაწესის გაცნობის ფორმა“ რომელზეც დაწესებულების ადმინისტრაციული და სასწავლო პერსონალი საკუთარი ხელმოწერით ადასტურებს, რომ გაეცნო, ეთანხმება და იზიარებს შინაგანაწესით განსაზღვრულ მოთხოვნებსა და კოლეჯში საქმიანობის მარეგულირებელ წესებს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პერსონალის პირადი საქმეებით ;
- ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების მენეჯერის სამსახურებრივი ბარათი ვაკანტურ პოზიციაზე კონკურსის გამოცხადების შესახებ (13.12.2018წ.);
- საკონკურისო კომისიის დამტკიცების ბრძანება (2018წ. 25.12 N286);
- კანდიდატების შერჩევის მიზნით შექმნილი კომისიის სხდომის ოქმი (2018წ. 28.12 N6);
- დანიშვნის ბრძანებები;
- დირექტორის 2019 წლის 5 აპრილის N87 ბრძანებით დამტკიცებულია „სსიპ - კოლეჯი მოდუსის შრომის შინაგანაწესი“
- შრომის შინაგანაწესის გაცნობის და თანხმობის შესახებ ადმინისტრაციის თანამშრომლებისა და პროფესიული მასწავლებლების მიერ ხელმოწერილი დოკუმენტით;
- საკონკურსო განცხადებებითა და პროცედურებით
- შრომითი ხელშეკრულებებით;
- დანიშვნის აქტებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---------- *(ქ.თბილისი, 2019 წელი)*

შეფასება:

- [x] ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
- [ ] ქვესტანდარტი დარღვეულია

VIII. პროგრამების შესახებ დაზუსტებული ინფორმაცია

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური / დონე	მისანიჭებელი კვალიფიკაცია (სპეციალიზაციის / სწავლის დეტალური სფეროს კოდის მითითებით)	კრედიტების რაოდენობა მოდულური პროგრამის ქართულენოვანი სტუდენტებისათვის	კრედიტების რაოდენობა მოდულური პროგრამის რაქართულენოვანი სტუდენტებისათვის	სწავლების ენა	პროგრამის განხორციელების მისამართი /მისამართები	სტუდენტთა ფაქტობრივი რაოდენობა (მისამართების მიხედვით)	ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების მიხედვით
1	სამკერვალო წარმოება	მესამე	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია სამკერვალო წარმოებაში 0723	99	114	ქართული	რუსთავი, შარტავას გამზ. N4	21	30
2	ინფორმაციის ტექნოლოგია	მესამე	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში 0612	60	75	ქართული	რუსთავი, შარტავას გამზ. N4	19	30

დაწესებულების მიერ მილევად რეჟიმში განსახორციელებელი საგანმანათლებლო პროგრამები

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური / დონე	მისანიჭებელი კვალიფიკაცია (სპეციალიზაციის / სწავლის დეტალური სფეროს კოდის მითითებით)	კრედიტების რაოდენობა მოდულური პროგრამის ქართულენოვანი სტუდენტებისათვის	კრედიტების რაოდენობა მოდულური პროგრამის არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის	სწავლების ენა	პროგრამის განხორციელების მისამართი /მისამართები	სტუდენტთა ფაქტობრივი რაოდენობა (მისამართების მიხედვით)
1	ელექტროობა	მესამე	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ელექტროობაში 0713	52	67	ქართული	რუსთავი, შარტავას გამზ. N4	12
2	კონსულტანტ-გამყიდველი	მესამე	კონსულტანტ-გამყიდველის მესამე		71		რუსთავი, შარტავას	13

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

(ქ.თბილისი, 2019 წელი)

	ლი		საფეხურის პროფესიული 020256	56		ქართული	გამზ. N4	
3	ზეინკალ-სანტექნიკოსი	მესამე	ზეინკალ-სანტექნიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 040676	71	86	ქართული	რუსთავი, შარტავას გამზ. N4	14
4	თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მემონტაჟე	მესამე	თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მემონტაჟის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 040680	62	77	ქართული	რუსთავი, შარტავას გამზ. N4	19

IX. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი
დანართი 2. პროფესიულ სტუდენტთან 2016წ. გაფორმებული ხელშეკრულება
დანართი 3. პროფესიულ სტუდენტთან 2018წ. გაფორმებული ხელშეკრულება
დანართი 4. კოლეჯის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2017 წლის 15 მაისის N1/კ-146 ბრძანება

01.07.2019წ.
თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---------- ----------

(ქ.თბილისი, 2019 წელი)